განკარგულება:**g-135. 135241526**
თარიღი:**31/05/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ მალხაზ გოშუანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის, ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და **№**47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024წლის 13 მაისის № 02/2024 წლის განკარგულების შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული, **№**47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024წლის 13 მაისის № 02/2024 წლის განკარგულება, რომლის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, პოლიტიკური გაერთიანება ,,ლელოს “ პარტიული სიით არჩეული გიორგი ხვისტანის (პარტიულ სიაში რიგითი №1) ადგილმონაცვლედ უფლებამოსილება მიენიჭა ამავე პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატს, მალხაზ გოშუანს, (პარტიულ სიაში რიგითი №2).

2. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. N12)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი